ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №18/10/02
(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000044)

ქ. თბილისი **9 მარტი, 2018 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“ - ს/კ 405255165 (შემდგომში „შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ეკატერინე ჯოჯუას სახით და მეორე მხრივ, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვასილ მაღლაფერიძის სახით ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის 2017–2018 წლების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 12 ივლისის №32 ბრძანებით დამტკიცებული სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2017-2018 წლების განმავლობაში სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის №1427 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „სატენდერო კომისია“ – „სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2017-2018 წლების კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის №1427 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.
1.7 „ფორს-მაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის საგანს წარმოადგენს რეიტინგული შესყიდვის გზით (wGRP), „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66[1] მუხლის მე-2 პუნქტით ნებადართული მომსახურების შესყიდვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით.
2.2 შესასყიდი მომსახურების, შეწონილი რეიტინგის ერთი პუნქტის (wGRP) ღირებულება შეადგენს 36.00 ლარს. აღნიშნული ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ და შესაბამისი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.
2.3 შესყიდვის მომსახურების საორიენტაციო ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.
2.4 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 92200000 - სატელემაუწყებლო მომსახურებები.
2.5.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“-ს მიერ დამზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლის - “სატრანსპორტო მოძრაობის ცვლილებები საბურთალოზე“ განთავსება სატელევიზიო ეთერში, მხარეთა შორის შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის დანართი №1-ის შესაბამისად.

2.6 კამპანიის პერიოდი:

ვიდეორგოლი - "სატრანსპორტო მოძრაობის ცვლილებები საბურთალოზე" 2018 წლის 12 -30 მარტი;

2.7 შეწონილი რეიტინგების wGRP ჯამური ოდენობა შეადგენს: 159.60;

2.8 სამიზნე აუდიტორია - ALL 18+;
2.9 სარეკლამო რგოლის განთავსება უნდა მოხდეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, არხი უნდა იყოს AGB Nielsen Georgia-ს ან შპს „ტრი მედია ინტელიჯენსის" ხელმომწერი;
2.10 კამპანიის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს AGB Nielsen -ის და „ტრი მედია ინტელიჯენსის" 2016 წლის დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით;
2.11 დასაშვები ცურვა - 100%;
2.12 კამპანიის რაოდენობა - 1;
2.13 კამპანიის სავარაუდო ხანგრძლივობა მაქსიმუმ: 19 დღე;
2.14 კლიპის ქრონომეტრაჟი: 1 წუთი (+/- 5წამი).

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა: 5745.60 (ხუთი ათას შვიდას ორმოცდა ხუთი ლარი და 60 თეთრი) ლარი. (აღნიშნული ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ და შესაბამისი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს), დანართი №1-ის შესაბამისად.
3.2.ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრები.

4 მომსახურების გაწევის პირობები და შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მედიაგეგმის (გრაფიკის) შემუშავების მიზნით შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამაუწყებლო არხის ტელეპროგრამა პროგნოზულ რეიტინგებთან ერთად.
4.2 შემსყიდველი და მიმწოდებელი ვალდებულნი არიან ურთიერთშეთანხმების გზით შეადგინონ მედიაგეგმა (გრაფიკი), იმ რეიტინგების გამზომველი კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით რომლის გამომწერიც არის მიმწოდებელი.
4.3 შემსყიდველი წარუდგენს მიმწოდებელს სატელევიზიო ეთერში განსათავსებელ ვიდეომასალასა და ურთიერთშეთანხმებულ მედიაგეგმას, ეთერში განთავსებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე.
4.4 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული ვიდეომასალა უნდა განთავსდეს იმ მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში, რომელიც აკმაყოფილებს სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის 2017–2018 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (Con1700000044) სატენდერო დოკუმენტაციის 4.1 - 4.5 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს და რომელიც განსაზღვრულია ურთიერთშეთანხმებული მედიაგეგმით.
4.5 შემსყიდველი მედიაგეგმაში (გრაფიკში) უთითებს კალენდარული თვეების განმავლობაში დასაგროვებელი სასურველი ჯამური სატელევიზიო რეიტინგის (wGRP) ოდენობას (დაგეგმილი, მოსალოდნელი სატელევიზიო რეიტინგი).
4.6 მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელი და შემსყიდველი ერთობლივად განიხილავენ მედიაგეგმის (გრაფიკის) შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში ურთიერთშეთანხმებით შეაქვთ მედიაგეგმაში (გრაფიკში) სათანადო ცვლილებები. მიმწოდებელი დაუყოვნებლივ აცნობებს შემსყიდველს შეთანხმებული პირობების ყველა იმ ცვლილების შესახებ, რაც წარმოიშობა ვიდეომასალის განთავსების პროცესში, მათ შორის სამაუწყებლო ბადის ცვლილების შესახებ.
4.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციითა და შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, შემსყიდველის მოთხოვნებთან და დადგენილ მედიაგეგმასთან. კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო"-ს თანამშრომლები.
4.8 მიმწოდებელმა არ უნდა შეიტანოს რაიმე ტიპის ცვლილება მედიაგეგმაში (გრაფიკში) შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი დასაბუთება და შემსყიდველთან შეთანხმებით განახორციელოს გაცდენილი ვიდეომასალის ახალი მედიაგეგმის მიხედვით განთავსება, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

5. მომსახურების გაწევის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

5.1 მიმწოდებლის მიერ ვიდეომასალის განთავსების წესთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში (არ განათავსა მასალა ტელეარხის ეთერში, შეცვალა განთავსება, შეცვალა ეთერში ვიდეომასალის

განთავსების თანმიმდევრობა, განათავსა ტექნიკური ხარვეზით, ქრონომეტრაჟის შემცირებით, შინაარსის დამახინჯებით ან/და სხვა სახის დარღვევით), ურთიერთშეთანხმებით ჩამოყალიბდება ახალი მედიაგეგმა (გრაფიკი) ან შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში არ ანაზღაურდება ხარვეზით გაწეული მომსახურების საფასური.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელი გამოწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი.

5.3 მომსახურების გაწევა დადასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით.

5.4 ანგარიშსწორება გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების (დაგროვებული რეიტინგის მაჩვენებლების - wGRP) მიხედვით.

5.5 საანგარიშო პერიოდი არის ერთი კალენდარული თვე.

5.6 ანგარიშსწორება განხორციელდება იმ გამზომველი კომპანიის კვლევით განსაზღვრული დაგროვებული სატელევიზიო რეიტინგის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, რომლის ხელმომწერიც არის კონკრეტული მაუწყებელი.

5.7 შემსყიდველი და მიმწოდებელი ახორციელებენ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებისა და დაგროვილი, დაკორექტირებული სატელევიზიო რეიტინგის პუნქტების შედარებას, არა უგვიანეს მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

5.8 წინამდებარე ხელშეკრულების 5.7 პუნქტის გათვალისწინებული შედარების შემდეგ, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, შემსყიდველი და მიმწოდებელი გააფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს ან შემსყიდველი მიმწოდებელს წარუდგენს არგუმენტირებულ წერილობით უარს.

5.9 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.10 მედიაგეგმის (გრაფიკი) მიხედვით საანგარიშო პერიოდისათვის დაგეგმილ (მოსალოდნელ) სატელევიზიო რეიტინგსა (wGRP) და აღნიშნული მედიაგეგმის (გრაფიკის) შედეგად ამავე საანგარიში პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებულ სატელევიზიო რეიტინგს (wGRP) შორის სხვაობის შემთხვევაში, ანაზღაურება განხორციელდება შემდეგი წესით:

ა) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგი (დაკორექტირებული wGRP) არ აღემატება ამავე პერიოდისათვის დაგეგმილი (მოსალოდნელი) რეიტინგის (wGRP) 110%-ს, ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგის (დაკორექტირებული) ღირებულების შესაბამისად.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგი (დაკორექტირებული wGRP) აღემატება ამავე პერიოდისათვის დაგეგმილი (მოსალოდნელი) რეიტინგის (wGRP) 110%-ს, ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ 110%-ის ოდენობის რეიტინგის ღირებულების შესაბამისად.

5.11 გასაწევი მომსახურების ღირებულება (გასაწევი მომსახურების ღირებულების 100%-ის ოდენობით) შეიძლება ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების, საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს მისი გაცემიდან არანაკლებ 2018 წლის 23 მაისისა. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

5.12 საავანსო საბანკო გარანტიის დაბრუნება მოხდება, მიმწოდებლის მიერ მომსახურების სრულად გაწევისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

5.13 უპირობო, გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

6. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

6.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გამარჯვებულ პრეტენდენტს მიმართოს წერილობითი ფორმით.

ბ)წარუდგინოს მიმწოდებელს სატელევიზიო ეთერში განსათავსებელი ვიდეომასალა და ურთიერთშეთანხმებული მედიაგეგმა, ეთერში განთავსებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე.

გ) წარუდგინოს მიმწოდებელს ისეთი შინაარსის მქონე ვიდეომასალა, რომელიც შეესაბამება მაუწყებლობის შესახებ კანონის 66[1] მუხლის მე-2 პუნქტის დადგენილ მოთხოვნებს.

დ) წარუდგინოს მიმწოდებელს იმ გამზომველი კომპანიის კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მედიაგეგმა, რომლის გამომწერიც არის შესაბამისი მიმწოდებელი.

ე) მიმწოდებელს მიუთითოს ერთი კალენდარული თვის განმავლობაში დასაგროვებელი ჯამური სატელევიზიო რეიტინგის (wGRP) ოდენობა (დაგეგმილი, მოსალოდნელი სატელევიზიო რეიტინგი).

ვ) განახორციელოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
ზ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
თ) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დაკისრებული ვალდებულებები.
ი) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.
კ) მიმწოდებელთან ერთად განიხილოს მედიაგეგმის (გრაფიკის) შესრულების მიმდინარეობის საკითხები და საჭიროების შემთხვევაში ურთიერთშეთანხმებით შეიტანოს მედიაგეგმაში (გრაფიკში) სათანადო ცვლილებები.

6.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

ა) მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ექსპერტული დასკვნის მიღების მიზნით იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის წარმოიშვება დავა სატელევიზიო ეთერში განსათავსებელი ვიდეომასალის თაობაზე.
ბ) მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს კამპანიის გაგრძელებაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რის შესახებაც შემსყიდველი მიმწოდებელს აცნობებს ზონივრული ვადით ადრე.
გ) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადების, სატენდერო დოკუმენტაციისა და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან/და მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია

ა) გააფორმოს შესყიდვის ხელშეკრულება შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში ან არგუმენტირებული წერილობითი უარი განაცხადოს ხელშეკრულების გაფორმებაზე.
ბ) განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული ვიდეომასალის განთავსება სატელევიზიო ეთერში, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის 4.1 - 4.5 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.
გ) განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული ვიდეომასალის განთავსება სატელევიზიო ეთერში ურთიერთშეთანხმებული მედიაგეგმის (გრაფიკის) შესაბამისად.
დ) გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომელიც დაკავშირებულია კონსოლიდირებული ტენდერისა და შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულებასთან.
ე) მომსახურების გაწევის პერიოდში შემსყიდველთან ერთად განიხილოს მედიაგეგმის (გრაფიკის) შესრულების მიმდინარეობის საკითხები და საჭიროების შემთხვევაში მასთან შეთანხმებით შეიტანოს მედიაგეგმაში სათანადო ცვლილებები.
ვ) მედიაგეგმაში (გრაფიკში) არ განახორციელოს რაიმე ტიპის ცვლილება შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი დასაბუთება და შემსყიდველთან შეთანხმებით განახორციელოს გაცდენილი ვიდეორგოლების ახალი მედიაგეგმის მიხედვით განთავსება, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.
ზ) გააცნოს შემსყიდველს რეტინგის გამზომველი იმ კომპანიის სისტემით განსაზღვრული ანგარიშგება, რომლის გამომწერიც არის მიმწოდებელი. ანგარიშგებაში მითითებული უნდა იყოს დაგროვებული სატელევიზიო რეიტინგის (wGRP) შესახებ ინფორმაცია.
თ) შემსყიდველ ორგანიზაციას გაუწიოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.
ი) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით შემსყიდველ ორგანიზაციას დაუყოვნებლივ აცნობოს შეფერხების მიზეზები და შექმნილი პრობლემის აღმოფხვრის საბოლოო ვადა.
კ) შემსყიდველის მიერ ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
ლ)დაიცვას ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები.
მ) უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

ნ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებითა და ამ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას განახორციელოს ანგარიშსწორება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

7.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამის შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. მიმწოდებლის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შესახებ კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაციის ობიექტურობასა და სისწორეზე პასუხისმგებელია შემსყიდველი ორგანიზაცია.
7.2 ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, დარჩენილი, გასაწევი მომსახურების ღირებულების 20%-ის ოდენობით.
7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
7.4 მომსახურების გაწევის ვადის 3-ზე მეტი კალენდარული დღით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშერულება.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
9.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის
განვითარების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № 07020402
ს/კოდი: 405255165

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68.
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № 707787128
ს/კოდი: 204858163

ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის
განვითარების სააგენტო“-ს დირექტორი

ე. ჯოჯუა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს
გენერალური დირექტორი

ვ. მაღლაფერიძე

სამაუწყებლო არხი, რომლის ფარგლებშიც იწარმოება სარეკლამო კამპანია	სარეკლამო კამპანიის დაწყების თარიღი	სარეკლამო კამპანიის დასრულების თარიღი	1 ერთეული (wGRP) ფასი	კამპანიის ფარგლებში დასაგროვებელი (wGRP) რაოდენობა	საორიენტაციო ღირებულება
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	12.03.2018	30.03.2018	36 ლარი	159.6	5745.60 ლარი

მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების შესაბამისად:

- სამიზნე აუდიტორია - ALL 18+;
  დასაშვები ცურვა - 100%
- კამპანიის რაოდენობა - 1
- კამპანიის ხანგრძლივობა: "სატრანსპორტო მოძრაობის ცვლილება საბურთალოზე"- 19 დღე;
- ქრონომეტრაჟი: 1 წთ.
- შემსყიდველის მიერ ტელევიზიებისთვის რგოლის დაზუსტებული ქრონომეტრაჟი და სარეკლამო კამპანიის ხანგრძლივობა მიწოდებული იქნება სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე 3 დღით ადრე;
- მედიაგეგმის (გრაფიკის) შემუშავება ხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სატელევიზიო რეიტინგების გამზომველი კომპანიის მიერ დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- მიმწოდებელი უზრუნველყოფს სატელევიზიო ეთერში შემსყიდველის მიერ მიწოდებული ვიდეომასალის განთავსებას ურთიერთშეთანხმებული პირობებისა და მედიაგეგმის (გრაფიკის) შესაბამისად.

ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“-ს დირექტორი

ე. ჯოჯუა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს
გენერალური დირექტორი

ვ. მაღლაფერიძე